

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის  
ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ზეინარ (მზეო) ზურაბაშვილი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

2018-2019

## თემა

კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და აღმოფხვრის გზები დაწყებითი საფეხურის ბოლო კლასში.

## მიზანი

კვლევის მიზანია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა, გადაჭრისა და შედეგების გაუმჯობესების გზების დასახვა დაწყებით საფეხურზე.

## სარჩევი

|                                            |    |
|--------------------------------------------|----|
| 1. შესავალი.....                           | 4  |
| 2. კვლევისა და ლიტერატურის მიმოხილვა ..... | 5  |
| 3. პრობლემის იდენტიფიცირება.....           | 8  |
| 4. კვლევის ვადები.....                     | 10 |
| 5. კვლევის მეთოდები .....                  | 11 |
| 6. მონაცემთა შეგროვება.....                | 12 |
| 7. მონაცემთა ანალიზი.....                  | 18 |
| 8. კვლევის მიგნებები.....                  | 32 |
| 9. ინტერვენცია, შედეგები, შეფასება.....    | 33 |
| 10. რეკომენდაციები.....                    | 40 |
| 11. დასკვნა.....                           | 41 |
| 12. დანართი I .....                        | 42 |
| 13. დანართი II .....                       | 44 |
| 14. დანართი III .....                      | 46 |
| 15. დანართი IV .....                       | 47 |
| 16. დანართი V .....                        | 48 |
| 17. რეფლექსია .....                        | 52 |
| 18. ბიბლიოგრაფია.....                      | 53 |

## შესავალი

მოგეხსენებათ, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა სწავლა სწავლების პროცესის ერთ-ერთი ბერკეტია. კითხვის უნარების განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეთა გამართულ და ეფექტიან მუშაობას, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა: „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნებითაც საკმაოდ გრძელი არ არის.“ ლიტერატურის კითხვა ზრდის ლექსიკურ მარაგს, აფართოებს თვალსაწიერს, ეხმარება მოზარდს კარგისა და ცუდის გარეჩევაში, ღირებულებების დანახვაში, სტერეოტიპებისაგან თავის დაცვაში, უწყობს ხელს და ეხმარება ფანტაზიის გავარჯიშებაში. ამიტომაც მინდა, ჩემმა მოსწავლეებმა ლიტერატურა წაიკითხონ სიამოვნებით და არ მინდა მათთვის კითხვა იყოს ვალდებულება, სურვილი მაქვს, წიგნის მიმართ დამოკიდებულება იყოს სასიამოვნო და ისინი გაიზარდონ „სამოთხრობე“ და „სარომანე“ ადამიანებად. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაწყებით საფეხურზე ამ მიმართულებით მუშაობას.

## კვლევისა და ლიტერატურის მიმოხილვა

კითხვა სასწავლო გარემოში მიზანმიმართული და თანმიმდევრული პროცესია, რომელიც სისტემატურ ხასიათს ატარებს. კითხვის სიყვარული გამოავლენს მოსწავლის დამოკიდებულებას სწავლის მიმართ, უკეთ წარმოაჩენს მის შესაძლებლობებს, მოქმედებს შინაგან მოტივაციაზე. კითხვა თავისუფლებისაკენ გადადგმული ნაბიჯია, ის საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფის გზაა. დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ სწავლის პროცესში ძირითადი მნიშვნელობა აქვს განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას, „სწავლაში ძირითადი კონკრეტი ჩვევა და ცოდნა როდია, არამედ იმ ძალების განვითარება, რომლებიც სწავლის პროცესში ღებულობენ მონაწილეობას.“ კითხვის უნარი სწორედ ეს ძალაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების გონებრივ განვითარებას, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ჯოზეფ ადისონის აზრით „კითხვა იგივეა გონებისათვის, რაც ფიზიკური ვარჯიში სხეულისათვის.“ ბავშვობიდან ამის შთაგონება ყველაზე კარგი საშუალებაა იმისა, რომ შემდეგში მოზარდი კარგ მკითხველად ჩამოყალიბდეს. ეს ყველაზე კარგი საჩუქარი იქნება მომავალი თაობისათვის, რადგან, როგორც ქართველი მწერალი, გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ და უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი. მე ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას და ვთვლი, რომ, თუ ბავშვში გავაღვიძებ ლიტერატურის სიყვარულს, ის თვითონ გაუძღვება საკუთარ თავს, გემოვნებას ნელ-ნელა დაეხვეწება, მსჯელობაც თვითონ მოუნდება და აზრის გამოსახატავად თვითონ აიღებს კალამს ხელში. მწერალი გიორგი კეკელიძე ფართო მასშტაბით განიხილავს კითხვის საჭიროებას და ქვეყნის განვითარების საწინდარს ნაკითხ საზოგადოებაში ხედავს, რასაც ცალსახად ვემხრობი.

კითხვა ერთიანი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საერთო განვითარებას და მისი დახასიათება შეიძლება სამი ასპექტის მიხედვით:

1. კითხვა არ ნიშნავს ცალკეული ასოების, მარცვლების, სიტყვების ან თუნდაც ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების ამოკითხვას. კითხვა, როგორც სასწავლო ქმედება, ხორციელდება მაშინ, როცა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტის წაკითხვის უნარ-ჩვევა ერთიანდება მთლიანი ტექსტის გასაგებად.
2. კითხვა ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგია. მხოლოდ მუდმივი ვარჯიშის შედეგად უვითარდება მოსწავლეს გააზრებული და დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევა.
3. კითხვა კომპლექსური კომუნიკაციური პროცესია, საუბარია მკითხველსა და ავტორს შორის, სოციალური აქტია, რომელიც ფიქრსა და თანამონაწილეობას მოითხოვს.

კითხვა ყოველთვის გულისხმობს ინტერპრეტაციას, რომელსაც წინ უძღვის გაგების პროცესი, წაკითხულის გაგების ხარისხი კი დამოკიდებულია მკითხველის მომზადების დონეზე, კითხვის მიზანსა და წასაკითხი ტექსტის შინაარსზე. პედაგოგი კითხვის სწავლების ისეთ სტრატეგიებს უნდა იყენებდეს, რომლებიც მოსწავლეს სამყაროს შესახებ არსებული

ცოდნის გააქტიურებასა და გამოყენებაში დაეხმარება. იმავდროულად ის ასწავლის მოსწავლეებს, როგორ განსაზღვრონ კითხვის მიზანი (რისთვის წაიკითხონ) როგორ შეარჩიონ საკითხავი მასალა (რა წაიკითხონ) და რა ხერხები და საშუალებები, კითხვის რომელი სტრატეგიები გამოიყენონ (როგორ წაიკითხონ). ყოველივე ეს მიიღწევა, თუ მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს კითხვის პროცესი, ეს ეხება კლასგარეშე ლიტერატურას, ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის დამოუკიდებლობა, არჩევანის თავისუფლება და მოსწავლე ამოგზაუროს კითხვის უსასრულო და საინტერესო სამყაროში. დამეთანხმებით, მასწავლებლის მისია რთულია და მიზანმიმართულ მუშაობას მოითხოვს ამ კუთხით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კითხვის პროცესი ორგვარია: ხელმძღვანელობითი და დამოუკიდებელი. მასწავლებლის საქმიანობები ხელმძღვანელობითი კითხვის დროს ხელს უწყობს პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობისა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. დამოუკიდებელი კითხვისას კი მოსწავლეები იყენებენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ ხელმძღვანელობითი კითხვისას შეიძინეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი რუსი მწერლის, დოსტოევსკის აზრი: „მოსწავლეთ და იკითხეთ სერიოზული წიგნები. დანარჩენს ცხოვრება გააკეთებს. როდესაც ჩემს ირგვლივ ვხედავ, თუ როგორ ეძებენ უბადრუკ საქმესა და გასართობს ადამიანები, რომლებმაც არ იციან რაში დააბანდონ თავიანთი თავისუფალი დრო, მე ვეძებ წიგნს და გონებაში ვამბობ: მარტოოდენ ეს არის საკმარისი მთელი ცხოვრებისთვის.“

ამ კუთხით ჩემი მისია ნათლად არის გამოკვეთილი ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებში: „გაანათლო ხალხი, ნიშნავს, აამაღლო ზნეობა: გახადო იგი წიგნიერი, ცივილიზაცია შეიტანო მასში. კარგი წიგნების ყოველდღიური კითხვის გავლენით ყოველგვარი უხეშობა, ისე ქრება, თითქოს ცეცხლზე გადნაო.“ ვთვლი, რომ ჩემი მოსწავლეების მომავალი დამოუკიდებელია წიგნების კითხვის სიყვარულზე, როგორც ფსიქოლოგი მეგი დოლიძე წერს: „თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ წიგნიერება საჭიროა, მაშინ როგორ მოვახერხოთ და შევავაროთ ბავშვს კითხვა? მეთოდი საკმაოდ მარტივია, ვაჩვენოთ, ვაგრძნობინოთ ბავშვს რომ წიგნის კითხვა სასიამოვნო გართობაა, არა გაკვეთილი, არა დავალება, არამედ სასიამოვნო გართობა. ყველაზე მარტივია მიაწოდოთ ის წიგნები რომლებიც მოსწონთ და არა ისინი, რომელსაც ჩვენ ვთვლით საჭიროდ და საინტერესოდ. მივცეთ ბავშვს კითხვის და წიგნის არჩევის საშუალება ჩვენი კონტროლის და შეფასებების გარეშე. ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად შესწრებია სიტუაციას, სადაც ბავშვი გატაცებით კითხულობს რაღაც წიგნს და მშობელი, ან ართმევს მას ან საუკეთესო შემთხვევაში მორალს უკითხავს წიგნის მიზანშეუწონლობაზე. მივცეთ ბავშვს საშუალება დადებითი მიჯაჭვულობა განვივითაროს კითხვის მიმართ და როდესაც ზოგადად წიგნი და ზოგადად კითხვა გახდება მისთვის სიამოვნების წყარო, შემდგომში მივა იმ ლიტერატურამდე, რომელიც მშობლისთვისაც ღირებულია და საინტერესო.“

თანამედროვე პრაგმატულ სამყაროში, სადაც ადამიანები რაციონალურნი და საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულნი არიან, ნაკლებად უსმენენ და უგებენ ერთმანეთს, ემპათია ის თვისებებია, რომელთა განვითარებაც მოზარდს ხელს შეუწყობს გახდეს უფრო წარმატებული დღევანდელ სამყაროში. შეგრძნებების განვითარებას იწვევს ფილმის ყურებაც და წიგნის

კითხვაც, იმ მცირედი განსხვავებით, რომ ფილმის ყურებისას მთავარი გმირების თავგადასავალს ჩვენ თვალს ვადევნებთ გვერდიდან, ხოლო წიგნის კითხვის პროცესს კი თან სდევს ერთი ჯადოსნური თავისებურება, თქვენ იწყებთ წიგნის გმირების ცხოვრებით ცხოვრებას და მათთან ერთად ერთვებით თავგადასავლებში, განცდებსა და ემოციებში. იგივე ხდება ბავშვთანაც და ასე ვითარდება მოზარდში ემპათიის გრძნობა. თანაგანცდის უნიკალური უნარი, რომელიც ასე ჭირდება დღევანდელ რაციონალურ სამყაროს.“

2007 წელს, როდესაც ინგლისელი ნილ რიჩარდ გეიმანი მიიწვიეს ჩინეთის პირველ კონფერენციაზე ფენტეზის თემატიკაზე, იგი დაინტერესდა, თუ რატომ ჩათვალეს პრაგმატულმა ჩინელებმა ეს თემა საინტერესოდ. აღმოჩნდა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ ჩინელი დაქირავებული მუშაკი უკვე არსებული, მზა სქემების მოწოდების შემთხვევაში შესანიშნავად ართმევდა თავს დავალებას. მაგრამ ვერც ქვეყანა და ვერც მისი საზოგადოება ვერაფერს ახალს და შემოქმედებითს ვერ ქმნიდა. Apple-ში, Microsoft-სა, Google - ში მივლინებული ჩინელი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკითხვების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ამ კომპანიების შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებული თანამშრომლები ბავშვობაში, უკლებლივ ყველა, ფენტეზის კითხვით იყვნენ გატაცებულნი. მაშ ასე, მემგონი საკმაოდ ბევრი არგუმენტი მოვიშველიეთ წიგნის კითხვის საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ, მაგრამ როგორ მივიყვანოთ ბავშვი წიგნამდე, სანამ შეიყვარებს მას? აქაც პასუხი ძალიან მარტივია. ჩვილობიდან ვუკითხოთ ზღაპრები კეთილი ფერიების და ბოროტი ჯადოქრების შესახებ, ვუკითხოთ მთელი ემოციებით, გატაცებით, ჟესტებითა და არტისტიზმით.

და თუ ჩვენი ეპოქის გენიოსის ალბერტ აინშტეინის მოსაზრებასაც მოვიშველიებთ: „უკითხეთ ბავშვებს ზღაპრები და თუ გინდათ ისინი კიდევ უფრო ჭკვიანები და განათლებულები გაიზარდნენ, უკითხეთ მათ კიდევ უფრო მეტი ზღაპრები.“

სატრენინგო მასალები, ვიდეოგაკვეთილები, ლიტერატურული მიმოხილვა დამეხმარა ცოდნის გაღრმავებაში, პრობლემის გადაჭრის გზების უკეთ დანახვაში.

## პრობლემის იდენტიფიცირება

კითხვის სიყვარული თანდაყოლილი თვისება როდია. საჭიროა მისი განვითარება, სწორედ ამ განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებსა და ხელშემწყობ გარემოებებზე დაფიქრებამ გადამაწყვეტინა, საკვლევ საკითხად შემერჩია ეს თემა. პრაქტიკული კვლევა ჩავატარე ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის VI კლასში. ეს არის დაწყებითი საფეხურის ბოლო კლასი და დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, კითხულობენ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას მოსწავლეები უფროსის დამაღების გარეშე, დამოუკიდებლად.

ჩემ მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევა გამომდინარეობს პედაგოგიური მუშაობის საჭიროებიდან. ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან პრიორიტეტულია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის საკითხი და გადაწყვეტე, ამ კუთხით დამეწყო მუშაობა. კვლევის ამოსავალი პუნქტის აღმოჩენის იმპულსი გახდა საკუთარი დაკვირვება და გამოცდილება, როგორც გაკვეთილზე, ასევე სხვა სასკოლო აქტივობებში. შერჩეული კვლევის განსახორციელებლად ფსიქოლოგიურად მოვემზადე. საკვლევ თემას აქვს აღმზრდელობითი ღირებულება, ამისათვის მზად ვარ, გარკვეული დრო და ენერგია დავხარჯო, ვინაიდან პირველად ვწერ ამ ტიპის გამოყენებით კვლევას, დამლევადობიდან გამომდინარე, შევარჩიე ისეთი, რომელიც შეესაბამება ჩემს პროფესიულ საქმიანობას და პრიორიტეტულია მოსწავლეებისათვის, რადგან აისახება მათ ინტელექტზე, ინტელექტუალური თაობის აღზრდა კი თითოეული ჩვენგანის, მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა. კოლეგებისთვის საინტერესო იქნება ჩემი გამოცდილების გაზიარება, რადგან აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას ყველა მასწავლებელი დაწყებით საფეხურზე. ამისთვის ჩემი კვლევა მათთვისაც მნიშვნელოვანი იქნება და დაეხმარება ამ კუთხით მუშაობის წარმართვაში.

კათედრის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან ერთად გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რეალურად არსებობდა პრობლემა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: მე-6 კლასშიც კი მოსწავლეები ვერ აღწევნენ თავს იმ სიძნელეს, რომ დამაღების გარეშე წაიკითხონ ლიტერატურა. ხშირად მშობელს არ სცალია, საათობით დაუჯდეს მოზარდს, ისიც სიზარმაცეს თავს ვერ აღწევს და პრაქტიკულად არ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას. რა შეიძლება იყოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები? ამ პრობლემის ზუსტად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, ჩამოვყალიბო კვლევის მთავარი კითხვა: რა არის დაწყებითი საფეხურის ბოლო (VI) კლასში იმის მიზეზები, რომ მოსწავლეები დამაღების გარეშე არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას?

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რადგან მოსწავლეები გადადიან საშუალო საფეხურზე, მათი განვითარებისთვის საჭიროა ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადაპტაციას შემდეგ კლასებში. თვითონ მშობლებიც კი განიცდიდნენ და მთხოვდნენ დავხმარებოდი მათ შვილებს, ეკითხათ კლასგარეშე ლიტერატურა. პრობლემის გადასაჭრელად დავგეგმე აქტივობები და განვახორციელე ცვლილებები, რომლებიც მას აღმოფხვრიდა.

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში, რომელშიც გამოკვეთილია ის ძირითადი საკითხები, რომელიც აფერხებს მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლებას და განხილულია ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. საკუთარი თავის წინაშე ხშირად ვსვამდი კითხვას: მაქვს წარმატების შანსი? შემწევს ძალა? საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის, სკოლის საჭიროებისათვის დავიწყე კვლევაზე მუშაობა, იმპულსი კი კვლევის დაკვირვებამ და გამოცდილებამ მომცა, ვთვლი, რომ მეთოდის სწორად შერჩევა არის გზა წარმატებისაკენ.

მოსწავლეებსა და მშობლებს რეკომენდაციის სახით გავაცანი ასაკისთვის მისაღები მოთხრობები, წიგნები წასაკითხად. ასევე შეეძლოთ, თვითონ შეერჩიათ ხელმისაწვდომი და მათთვის საინტერესო ლიტერატურა. გარკვეული დრო ჰქონდათ მათ ამ დავალების შესასრულებლად მიცემული. ეს დრო გავიდა და აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა წაკითხული ეს ლიტერატურა. შევეცადე დამედგინა ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

## კვლევის ვადები

| პე<br>იჯი                                             | ოქტ<br>ომბ<br>ერი | ნოე<br>მბე<br>რი | დეკ<br>ემბე<br>რი | იანვ<br>არი | თებ<br>ერვა<br>ლი | მარ<br>ტი | აპრი<br>ლი | მაის<br>ი |
|-------------------------------------------------------|-------------------|------------------|-------------------|-------------|-------------------|-----------|------------|-----------|
| თემის<br>შერჩევა და<br>მიზნის<br>განსაზღვრ<br>ა       | ✓                 |                  |                   |             |                   |           |            |           |
| კვლევისა<br>და<br>ლიტერატუ<br>რის<br>მიმოხილვა        | ✓                 |                  |                   |             |                   |           |            |           |
| პრობლემის<br>იდენტიფიკ<br>ირება                       | ✓                 |                  |                   |             |                   |           |            |           |
| კვლევის<br>მეთოდების<br>განსაზღვრა                    |                   | ✓                |                   |             |                   |           |            |           |
| კითხვარის<br>დამუშავება                               |                   | ✓                |                   |             |                   |           |            |           |
| მონაცემთა<br>შეგროვება                                |                   |                  | ✓                 | ✓           |                   |           |            |           |
| მონაცემთა<br>ანალიზი                                  |                   |                  |                   |             | ✓                 |           |            |           |
| ინტერვენცი<br>ები                                     |                   |                  |                   |             |                   | ✓         | ✓          |           |
| ინტერვენცი<br>ების<br>ანალიზი                         |                   |                  |                   |             |                   |           | ✓          |           |
| შედეგების<br>გაცნობა,<br>პრეზენტაცი<br>ა<br>კათედრაზე |                   |                  |                   |             |                   |           |            | ✓         |

## კვლევის მეთოდები

ამ თავში განხილულია საკვლევი საკითხი და ქვეკითხვები, მოცემულია კვლევის დიზაინი და კვლევის გეგმა. წარმოდგენილია ინფორმაცია კვლევის ჯგუფის ჩამოყალიბებისა და მუშაობის ეტაპების შესახებ, განხილულია კვლევისათვის მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად სამიზნე ჯგუფის მუშაობის გზები.

საკვლევი საკითხი ჩამოვყალიბებ შემდეგნაირად: რატომ არ კითხულობენ დაწყებითი საფეხურის ბოლო კლასში კი (VI) მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას დამატების გარეშე, დამოუკიდებლად?

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დამეხმარება შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- რამდენად სწორად ვურჩევ მე-6 კლასელებს მათთვის საინტერესო ლიტერატურას?
- ჩართულია თუ არა მშობელი შვილისათვის წასაკითხი წიგნის შერჩევაში?
- კითხულობს თუ არა მშობელი შვილთან ერთად ლიტერატურას?
- ესაუბრება თუ არა მშობელი შვილს წაკითხულის შესახებ?
- რამდენად კარგად აქვთ მოსწავლეებს კითხვის უნარ-ჩვევები განვითარებული?
- რამდენად კარგად შეუძლიათ მოსწავლეებს წაკითხულის გაგება-გააზრება?
- ტექსტის მოცულობა აფერხებს თუ არა მოსწავლის წაკითხვის ინტერესს?
- ვაძლევ თუ არა მოსწავლეებს წიგნის თავისუფლად შერჩევის საშუალებას?
- რა ხერხებითა და მეთოდებით ვზრუნავ მოსწავლეებში კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის მოტივაციის ამაღლებაზე?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე კვლევის გეგმა, ვფიქრობ, ამის შედეგად გამოიკვეთება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და დაისახება გადაჭრის გზებიც.

კვლევის სანდოობის გაზრდისა და საკითხის მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება, ფოკუსჯგუფი, კითხვარი.

## მონაცემთა შეგროვება

პირველ ეტაპზე მოსწავლეებსა და მშობლებს რეკომენდაციის სახით გავაცანი ასაკის შესაბამისად წიგნების ჩამონათვალი, მოთხრობები, ასევე შეეძლოთ, თვითონ შეერჩიათ ხელმისაწვდომი და მათთვის საინტერესო ლიტერატურა. გარკვეული დრო ჰქონდათ მიცემული ამ დავალების შესასრულებლად, ეს დრო გავიდა, ვაკვირდებოდი პროცესს გაკვეთილზე ან დასვენებაზე, კითხვით გამოწვეულ ემოციებს და აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ ქონდა წაკითხული კლასგარეშე ლიტერატურა. ეს მეთოდი ჩემ მიერ არაკონტროლირებადია და გადაწყვიტე, კვლევის შემდეგ ეტაპზე გადავსულიყავი. ფოკუსირებული დაკვირვება კვლევის მეორე ეტაპია, როდესაც მკაფიოდ გამოვკვეთე კონკრეტული ელემენტები, ამ უნარებზე დაკვირვება კი ჩემი კვლევის მთავარი ინტერესია. ეს ინტერესები გარკვეულწილად ვიწროვდება და მოითხოვს დამკვირვებლის ყურადღების სფეროს კიდევ უფრო დაზუსტებასა და შეზღუდვას. ვაკვირდებოდი და ვეკითხებოდი კონკრეტულად რომელი ტექსტის, წიგნის წაკითხვა დაიწყეს მოსწავლეებმა, რამდენად გაუზიარეს წაკითხულის შესახებ აზრები ერთმანეთს. სოციალური უნარების განვითარება ამ კუთხით ძალიან საინტერესოა. ვინიშნავდი დაკვირვების ობიექტს და ვაყალიბებდი ჩემს მოლოდინს კონკრეტული მოსწავლის მიმართ.

ფოკუსჯგუფი შევექმენი როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან. ფოკუსჯგუფისათვის მშობლები შეირჩა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იყო შესაძლებელი მათთან დაკავშირება სურვილისა და თავისუფალი დროის გათვალისწინებით. მშობლებთან ფოკუსჯგუფის დროს საინტერესო იყო აზრთა გაცვლის პროცესი, დისკუსიამ გამოავლინა პრობლემისადმი დამოკიდებულება, განწყობა და ემოცია, რაც შესაძლებელია, მათ მანამდე არც კი ჰქონდათ გაცნობიერებული. მშობლები (თუმცა ყველა არა) გულახდილად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ არ ჰქონდათ თავისუფალი დრო, არ ჰქონდათ სახლში ლიტერატურა, ხშირად ვერ ახერხებდნენ ეზრუნათ წიგნების შეძენაზე, შვილები სარგებლობდნენ ამ უყურადღებოებით და მხოლოდ სიტყვიერი დამალებით ვერ ან არ კითხულობდნენ ლიტერატურას. დისკუსია წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარმართე მშობლებთან, რამაც ხელი შეუწყო მათ გულახდილობასა და მაქსიმალურად ჩართვას ჯგუფურ დისკუსიაში. ატმოსფერო იყო ღია და დადებითი. დაისვა შემდეგი სახის კითხვები:

- იყვნენ თუ არა შვილების ლიტერატურის კითხვით დაინტერესებული მშობლები და მზად იყვნენ თუ არა, ჩემთან თანამშრომლობისათვის ამ პრობლემის დასაძლევად?
- იცით თუ არა, რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?
- რა ხერხებით ზრუნავს მშობელი შვილისათვის ლიტერატურის კითხვის სიყვარულის გაღვივებას?
- ხომ არ უჭირს მოსწავლეს კითხვა, გაგება და გააზრება?

მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფმა საინტერესო გახადა მუშაობა, ისინი თავისუფლად გრძნობდნენ თავს, ყველა საკვლევ საკითხზე პასუხს სცემდნენ გულახდილად, ერთის გულწრფელობამ წაახალისა მეორე, მესამე და დასკვნების გამოსატანად ოპტიმალური გარემო

შეიქმნა. ჯგუფური დისკუსიის დროს გამოვლინდა ის ხარვეზები, რაც აფერხებდა მოსწავლეების კითხვის პროცესში ჩართვას. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მათ დააფიქსირეს თავიანთი გადაწყვეტილება კონკრეტული მოთხოვნის წაკითხვის შესახებ. თუმცა მაინც დარჩა უმცირესი ნაწილი მოსწავლეებისა, რომელთაგანაც ვერ მოვახერხე ფოკუსჯგუფში მუშაობის დროსაც კი მათი დისკუსიაში ჩართვა, ამიტომ გამოვიყენე კითხვარი და გავუგზავნე ელექტრონული ფოსტით. მშობელთა გარკვეულ ნაწილთან კომუნიკაციის სირთულის გამო საჭირო ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მივიჩნიე კითხვარის გამოყენება და მათაც მივაწოდე კითხვარი ანალოგიური საშუალებით.

### კითხვარი მშობლებისთვის

მოგესალმებით! ვატარებ პრაქტიკულ კვლევას: „რატომ არ კითხულობენ მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას“. ჩემი მიზანია, როგორ შევაყვარო მათ კითხვა, ამიტომ თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა, ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. გმადლობთ მონაწილეობისათვის!

1. იცით თუ არა რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?

- ☐ არ დავინტერესებულვარ
- ☐ მეტნაკლებად ვიცი
- ☐ ზუსტად ვიცი რადგან ვეკითხები

2. ეხმარებით თუ არა ლიტერატურის არჩევაში თქვენს შვილს?

- ☐ არ ვიცი, რომელია მისი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა
- ☐ ვურჩევ, მაგრამ ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა
- ☐ მირჩევნია მასწავლებელი დაეხმაროს

3. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?

- ☐ უფროსის დაქინებული თხოვნის, დაპირებული საჩუქრის ან სხვა იმპულსებითი მეთოდის გამოყენების შემდეგ
- ☐ საერთოდ არ კითხულობს
- ☐ როცა მე ვუკითხავ

4. გაქვთ თუ არა სახლში წიგნები?

- ☐ არ მაქვს

☐ მაქვს კარგი ბიბლიოთეკა

5. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მოსწავლეები არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას?

☐ სხვა სახის გართობას უთმობს უფრო მეტ დროს

☐ არ აქვთ კითხვის სურვილი

☐ ოჯახში არ აქვთ მათთვის საინტერესო ლიტერატურა და შესაფერისი გარემო

6. გიყვებათ თუ არა თქვენი შვილი წაკითხულის შესახებ?

☐ კი

☐ არა

7. იცნობთ თუ არა ლიტერატურას, რომელიც მასწავლებელმა შეურჩია თქვენს შვილს წასაკითხად?

☐ კი

☐ არა

☐ ნაწილობრივ

8. იმ შემთხვევაში, თუ იცნობთ, როგორ ფიქრობთ, სწორად იყო თუ არა შერჩეული წასაკითხი წიგნის ჩამონათვალი?

☐ ვენდობი მასწავლებლის რჩევას

☐ არ ვიცი

9. აძლევთ თუ არა თქვენს შვილს რჩევას, წაიკითხოს ესა თუ ის წიგნი, მოთხრობა?

☐ ხშირად

☐ იშვიათად

☐ არასდროს

10. თქვენი აზრით, კითხვის პროცესი ბავშვისთვის იყო

☐ იძულებითი

☐ სახალისო

11. წლის განმავლობაში თქვენი შვილის კითხვის სიხშირე იყო

- ☐ მაღალი
- ☐ საშუალო
- ☐ დაბალი

12. როგორ ფიქრობთ, რატომ არის კარგი თქვენი შვილისთვის კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა? /პასუხი დაასაბუთეთ/-----

-----

-----

-----

### კითხვარი მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით! ვატარებ პრაქტიკულ კვლევას: „რატომ არ კითხულობენ მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას“. ჩემი მიზანია, როგორ გავადვივო თქვენში კითხვის სიყვარული, ამიტომ თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. გმადლობთ მონაწილეობისათვის!

1. გიყვართ თუ არა წიგნების კითხვა?

- ☐ კი
- ☐ არა

2. გაქვთ თუ არა სახლში კუთხე, სადაც წიგნები გიწყევიათ?

- ☐ კი
- ☐ არა

3. დამოუკიდებლად კითხულობ თუ უფროსთან ერთად?

- ☐ დამოუკიდებლად

- ☐ უფროსთან ერთად
- ☐ საერთოდ არ ვკითხულობ

4. უყვები თუ არა მშობლებს, და-მმას, მეგობრებს წაკითხულის შესახებ?

- ☐ კი
- ☐ არა

5. არის თუ არა წიგნის წაკითხვით დაინტერესების მიზანი მშობლის დაპირება ან მასწავლებლის ნიშანი?

- ☐ კი
- ☐ არა

6. რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კითხვას?

- ☐ 'საერთოდ არ ვკითხულობ
- ☐ თავისუფალ დროს სულ ვკითხულობ
- ☐ კითხვასაც ვუთმობ ცოტა დროს

7. რა თემაზე დაწერილი წიგნები გაინტერესებს?

- ☐ სათავგადასავლო
- ☐ ფანტასტიკა
- ☐ ისტორიული
- ☐ დეტექტივი

8. კითხვა გირჩევნიათ თუ კომპიუტერული თამაში?

- ☐ კითხვა
- ☐ კომპიუტერული თამაში

9. ნათლად წარმოიდგენ თუ არა წაკითხულს?

- ☐ მიჭირს ამის წარმოდგენა
- ☐ ნათლად წარმოვიდგენ

10. ვისი რჩევით კითხულობ კლასგარეშე ლიტერატურას?

- ☐ მასწავლებლის
- ☐ მშობლის
- ☐ საკუთარი გემოვნებით
- ☐ საერთოდ არ ვკითხულობ

11. გყავს თუ არა საყვარელი პერსონაჟი? რატომ გიყვართ ის? დაასახელეთ წიგნის ავტორი

-----

-----


## მონაცემთა ანალიზი

საკვლევი პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისა და შედეგების შესადარებლად მონაცემები გავაანალიზე. ამ თავში განხილულია მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის გამოყენებით მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანალიზი. კვლევის პრობლემის მიზეზების დადგენაში დამეხმარა აღნიშნული მეთოდები. ვინაიდან ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად ხელჩასაჭიდი მასალა ნაკლებად მოვიპოვე, რადგან აღწერითი დაკვირვება იყო ზედაპირული, მაგრამ იყო პირველი ნაბიჯი, რომ დამედგინა ფოკუსირებული დაკვირვება, დაკვირვებოდი ძირითად უნარებს, ამ მეთოდის თავისებურება იყო ერთგვარი შეზღუდულობა. უფრო შედეგიანი აღმოჩნდა ფოკუსჯგუფი მშობლებთან და ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან. შევექმენი საუბრის ტრანსკრიპტი. შეხვედრამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა საკუთარი ენთუზიაზმითა და ინტერესიდან გამომდინარე არ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას. დისკუსიის დროს გამოიკვეთა გულახდილი მოსწავლე და არაერთი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მხოლოდ წახალისების, დაპირების, დამალების შემდეგ კითხულობენ ლიტერატურას. მშობლებმა გამოხატეს თავიანთი პოზიცია, რომ დაინტერესებულნი არიან შვილების წიგნიერებით, თუმცა ამისათვის თვითონ ვერ პოულობენ დროს, არ საუბრობენ წაკითხულის შესახებ და მხოლოდ ზეპირი თქმით გამოიხატება მათი სურვილი. ამიტომ, მე მთხოვეს დახმარება. ამასთანავე, ფოკუსჯგუფთან მუშაობამ დაადასტურა, რომ მშობლების თქმით, მათ შვილებს უჭირთ წაკითხულის სწორად გაგება-გააზრება.

ფოკუსჯგუფთან მუშაობის დროს საინტერესო იყო როგორც მოსწავლეების, ისე მშობლების შეხედულებები. მე მათ გულისყურით ვინიშნავდი, ვუსმენდი, ვსვამდი კითხვებს, რომლებიც წინასწარ მქონდა შერჩეული. დისკუსიის დროს დაისვა გაუთვალისწინებელი კითხვებიც გულახდილობიდან გამომდინარე, რის გამოც დავინახე, რომ ზოგს წიგნის შეძენის პრობლემაც ჰქონდა და ნატრობდა ილუსტრირებულ მისთვის საინტერესო წიგნს. კვლევის ერთი მონაწილე წიგნის მიმართ ინტერესის მოტივს ამგვარად ასაბუთებს: „მომეწონა, როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს იყალთოელი ბიჭები“... მეორე გულისტკივილითა და თანაგრძნობით აღნიშნავს: „ანა ფრანკის სიტყვებით ვიღვიძებ ყოველ დილით: ბედნიერი ხარ, სანამ უშიშრად შეგიძლია ახედო ცას“... ერთი მშობელი გულახდილად გამოხატავს სათქმელს: „მინდა, ჩემი შვილი კითხულობდეს და ასე ათენებდეს ღამეს“... ფოკუსჯგუფის მიზანი იყო აზრების გაცვლა, აქ უკეთ გამოვლინდა დამოკიდებულება პრობლემის მიმართ, ფსიქოლოგიური განწყობა, აღმოჩნდა ახალი თემებიც, ყველას მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება, თუმცა დასკვნები გაკეთდა გამოსაკითხი ადამიანების ვერბალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ეს კი ამცირებს შედეგების სანდოობას. ფოკუსჯგუფის მეთოდის გამოყენებამ საშუალება მომცა, თვალი მედევნებინა მოსწავლეთა აზროვნების ჩამოყალიბების პროცესისათვის, ისინი თავისუფლად საუბრობდნენ, გულახდილად, თუ რატომ ვერ კითხულობდნენ კლასგარეშე ლიტერატურას, მათთვის საინტერესო იყო უფრო მეტად სხვა

სახის გართობები. საკითხი დამანახეს სხვა თვალითაც, ერთს წიგნებიც არ ჰქონდა სახლში, რამაც საშუალება მომცა გარკვეულ ნიუანსში პრინციპულობასთან ერთად ლოიალურობა გამომეჩინა. ამიტომ, სასარგებლო მასალა მაინც კითხვარის გამოყენებით მივიღე. მისმა გაანალიზებამ საშუალება მომცა, შემედგინა გარკვეული რეკომენდაციები, როგორც მშობელთათვის, ისე მოსწავლეთათვის.


1. იცით თუ არა რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?




2. ეხმარებით თუ არა ლიტერატურის არჩევაში თქვენს შვილს?




1. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?



4. გაქვთ თუ არა სახლში წიგნები?




5. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მოსწავლეები არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას?




6. გიყვებათ თუ არა თქვენი შვილი წაკითხულის შესახებ?



7. იცნობთ თუ არა ლიტერატურას, რომელიც მასწავლებელმა შეურჩია თქვენს შვილს წასაკითხად?




8. იმ შემთხვევაში, თუ იცნობთ, როგორ ფიქრობთ, სწორად იყო თუ არა შერჩეული წასაკითხი წიგნის ჩამონათვალი?




9. აძლევთ თუ არა თქვენს შვილს რჩევას, წაიკითხოს ესა თუ ის წიგნი, მოთხრობა?




10. თქვენი აზრით, კითხვის პროცესი ბავშვისთვის იყო




11. წლის განმავლობაში თქვენი შვილის კითხვის სიხშირე იყო




1. გიყვართ თუ არა წიგნების კითხვა?




2. გაქვთ თუ არა სახლში კუთხე, სადაც წიგნები გიწყევიათ?




3. დამოუკიდებლად კითხულობ თუ უფროსთან ერთად?




2. უყვები თუ არა მშობლებს, და-ძმას, მეგობრებს წაკითხულის შესახებ?




3. არის თუ არა წიგნის წაკითხვით დაინტერესების მიზანი მშობლის დაპირება ან მასწავლებლის ნიშანი?




4. რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კითხვას?




5. რა თემაზე დაწერილი წიგნები გაინტერესებს?




6. კითხვა გირჩევნიათ თუ კომპიუტერული თამაში?



7. ნათლად წარმოიდგენ თუ არა წაკითხულს?



#### 8. ვისი რჩევით კითხულობ კლასგარეშე ლიტერატურას?



ღია კითხვების პასუხებმა, მძაფრად გამოკვეთა პრობლემა: მშობლები თვლიან, რომ მათი შვილებისათვის აუცილებელია ლიტერატურის კითხვის სიყვარულის გაღვივება და ამაში ცალსახად ითხოვენ მასწავლებლის დახმარებას. რაც შეეხება მოსწავლეთა ღია კითხვების პასუხებს, უმრავლესობას გაუჭირდა საყვარელი წიგნისა და პერსონაჟის დასახელება.

## კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მოსწავლეებს ურჩევნიათ მეტი თავისუფალი დრო დაუთმონ კომპიუტერულ თამაშებს ან სხვა სხვა სახის გართობას, ვიდრე კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას.
- მშობლებს არ აქვთ დრო და შესაბამისად ვერ ახერხებენ, ხელი შეუწყონ შვილის წიგნიერების ამაღლებას, არ იციან, როგორ გააღვივონ წიგნის სიყვარული, რომ ეს არ იყოს იძულებითი ან მხოლოდ დაპირებული საჩუქრით განპირობებული.
- მოსწავლეებს წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით ექმნებათ გარკვეული პრობლემები, რის გამოც უქვეითდებათ კითხვის მოტივაცია.
- დავებმარო მოსწავლეებს წასაკითხი წიგნების შერჩევაში, გავითვალისწინო მათი გემოვნება და მივცე თავისუფალი არჩევანის საშუალება.

## ინტერვენციები, შედეგები და შეფასება

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი და განვახორციელე. მოვახდინე „ბრეინშტორმინგი“, რომლის დროს გადავთვალე რე ჩანიშნული იდეები, გავეცანი საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და ლიტერატურას, მოვახდინე თემების სელექცია, სტრუქტურირება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე პარალელს ვავლებდი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურიდან, ვასახელებდი პერსონაჟს, მისი ქცევის მოტივაციას ვაანალიზებდი, რის შემდეგაც ვატყობდი მოსწავლეებს, რომ უჩნდებოდათ სურვილი თვითონაც გასცნობოდნენ ამ მოქმედ გმირს. ისე მოხდა, რომ ჩემ მიერ დასახელებული ნაწარმოები წიგნისა თუ ქსეროქსის სახით ხელიდან ხელში გადადიოდა, მოსწავლეები კლასში საუბრობდნენ წაკითხულის შესახებ და აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს. მე-6 კლასელთა საჭიროებიდან გამომდინარე ვთხოვე, წაეკითხათ რეზო ინანიშვილის პატარა მოთხრობა „ლაშაი ცრემლები“. ინტერესი რომ გამეღვივებინა, ვუთხარი, რომ ჩემი საყვარელი ნაწარმოებია. მოსწავლეებმა შემომთავაზეს, რომ რადგან პატარაა, დამატებით გაკვეთილზე ერთად წაგვეკითხა და გვემსჯელა ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ. დავთქვით დრო. აღმოჩნდა, რომ შეთანხმებულ დამატებით გაკვეთილზე ყველას ჰქონდა რეზო ინანიშვილის მოთხრობების წიგნი მოტანილი. ყურადღება მივაქციე იმ ფაქტსაც, რომ ერთმა მოსწავლემ იზრუნა კლასელზე და ქსეროქსის სახით მოუტანა მოთხრობა, რადგან მას არ ჰქონდა საშუალება ოჯახური მდგომარეობის გამო შეეძინა ან ეშოვა წიგნი. დამატებით გაკვეთილზე დავიწყეთ მოთხრობის კითხვა, მოსწავლეები ჩაერთვნენ კითხვის პროცესში, ერთი რომ კითხულობდა, დანარჩენები ყურადღებით უსმენდნენ. ტექსტის წაკითხვის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ემოციებს ვერ მალავდნენ, ხმამაღლა და სიხარულით ამბობდნენ, რომ მოთხრობის გმირი მათი თანატოლი ბიჭი მისაბამია. ისინი სკოლის დერეფანში კი სხვა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უზიარებდნენ წაკითხულის შთაბეჭდილებას, სადაც და მკაფიოდ მსჯელობდნენ მოთხრობის მთავარი სათქმელის შესახებ. მივხვდი, რომ მიზანი მიღწეული იყო. იქვე გადაწყდა, რომ წაკითხავდნენ რეზო ინანიშვილის სხვა მოთხრობებს.

ინტერვენციისათვის გადავწყვიტე, შემეთავაზებინა მათთვის თბილისში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, დასწრება სპექტაკლზე „მე ვხედავ მზეს“. გავააქტიურე მშობლები ამ პროექტში, რა თქმა უნდა, მჭირდებოდა მათი ჩართულობა, დავგეგმეთ ღონისძიება და დავესწარიტ სპექტაკლს. იმისათვის, რომ დამედიანა, რამდენად გაიაზრეს სპექტაკლი, კრიტიკული, შემოქმედებითი უნარისა და დამოუკიდებელი აზროვნების გაღრმავების მიზნით გაკვეთილზე მივეცი დავალება, ვთხოვე დაეწერათ ესე: „ხატია ხედავს მზეს“. მოსწავლეებს ავუხსენი, რომ სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით იყო დადგმული. ამ ინტერვენციამ ცხადად დამანახა, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ წიგნითაც, გარკვეული დროის შემდეგ უმრავლესობას წაკითხული ჰქონდა ეს ნაწარმოები.

ამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ჩემი მე-6 კლასელები ხშირად სტუმრობდნენ ბიბლიოთეკას, მივხვდი, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას გავუღვიძე კითხვის შინაგანი მოტივაცია. ეს ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა და არ იყო ადვილი. სწორ და გამართულ კითხვაზე მონიტორინგი, წაკითხულის გააზრება, მშობელთა ჩართულობა დამეხმარა მიზნის მიღწევაში. თუ წლის დასაწყისში მათ საყვარელი წიგნის, ლიტერატურული გმირის დასახელება გაუჭირდათ, ახლა ხალისით ყვებოდნენ ანა ფრანკის, იყალთოელი ბიჭების, მართას, ზურიკელას და სხვა პერსონაჟთა შესახებ. მათ აღარ სჭირდებოდათ უფროსების დამალება, დაპირება, წახალისება. გავააქტიურე მშობელთა ჩართულობა, ვთხოვე მათ, შვილებისათვის დროის მენეჯმენტის სწორად გაწერა, გავაცანი გარკვეული ლიტერატურა, რომელსაც შვილებთან ერთად განიხილავდნენ. ეს კომუნიკაცია კიდევ უფრო აამაღლებდა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიყვარულს.

შედეგის შესამოწმებლად შევადგინე კითხვარი, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მშობლებისათვის და გავუზავნე ელექტრონული ფოსტით.

### კითხვარი მშობლებისათვის

*მოგესალმებით! თქვენ უკვე იცით ჩემი პედაგოგიური კვლევის შესახებ. ინტერვენციის შედეგისათვის გთხოვთ უპასუხოთ კითხვარს. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. დიდი მადლობა!*

1. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?
  - ☐ უფროსის, მასწავლებლის დაჟინებული თხოვნის შემდეგ
  - ☐ თავად უჩნდება წაკითხვის სურვილი
  - ☐ საერთოდ არ კითხულობს
2. როგორი იყო წაკითხვის სიხშირე წლის დასაწყისში?
  - ☐ არ კითხულობდა
  - ☐ იშულებით კითხულობდა
  - ☐ ხშირად კითხულობდა
3. როგორია წაკითხვის სიხშირე სასწავლო წლის ბოლოს?
  - ☐ არ კითხულობს
  - ☐ ხალისით კითხულობს
  - ☐ ეზარება კითხვა
4. თავისუფალ დროს თქვენი შვილი კომპიუტერულ თამაშებს მეტ დროს უთმობს თუ წიგნის კითხვას?
  - ☐ კომპიუტერულ თამაშებს

☐ წიგნის კითხვას

5. შეამჩნიეთ თუ არა ცვლილება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებით თქვენს შვილს წლის განმავლობაში?

-----

-----

### კითხვარი მოსწავლეებისთვის

*მოგესალმებით! გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ და უპასუხოთ კითხვებს. თქვენი პასუხები ჩემი სამუშაო კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია! გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. დიდი მადლობა!*

1. წლის დასაწყისში როგორია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე?

- ☐ დაბალი
- ☐ საშუალო
- ☐ მაღალი

2. წლის ბოლოს როგორია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე?

- ☐ დაბალი
- ☐ საშუალო
- ☐ მაღალი

3. როგორ ფიქრობ, რატომ არის კარგი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა?


-----

-----


-----

კვლევის მეთოდებისა და გამოყენებული ინტერვენციის ანალიზის შედეგი გამოვსახე დიაგრამებით.

1. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?



2. როგორი იყო წაკითხვის სიხშირე წლის დასაწყისში?



3. როგორია წაკითხვის სიხშირე სასწავლო წლის ბოლოს?



4. თავისუფალ დროს თქვენი შვილი კომპიუტერულ თამაშებს მეტ დროს უთმობს თუ წიგნის კითხვას?



1. წლის დასაწყისში როგორია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე?



2. წლის ბოლოს როგორია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე?



ღია კითხვების პასუხების ანალიზმა საშუალება მომცა, დამედგინა, რომ მშობელთა უმრავლესობა ხედავდა თავისი შვილის ცვლილებას წლის განმავლობაში კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ პროგრესი მათთვის თვალშისაცემი იყო, რაც შეეხება მოსწავლეების ღია კითხვების პასუხებს, მეტად საინტერესო იყო მათი აზრი: ისინი თვლიდნენ, რომ „გაიზარდნენ“ ამა თუ იმ პერსონაჟის ქცევის მაგალითზე, ჰყავთ საყვარელი პერსონაჟი, იზრუნეს საყვარელი წიგნის შეძენაზე, ისწავლეს ბიბლიოთეკით სარგებლობა.

## რეკომენდაციები

მინდა, აღვნიშნო, რომ კვლევის მიმდინარეობისას საკვლევი საკითხის გაანალიზება და პრობლემების იდენტიფიცირება სწორად მოხდა, რაშიც დამარწმუნა მეთოდების ანალიზმა, ინტერვენციებიც იყო საინტერესო, თუმცა გამიჭირდა თითოეული ბავშვისათვის სათანადო მონიტორინგის გაწევა, კერძოდ, ის, რომ სრულყოფილად მიმეღო მონაცემები, რამდენად შეძლეს წაკითხულის დამახსოვრება.

კვლევის მეთოდებისა და გამოყენებული ინტერვენციების ანალიზის შედეგად შემიძლია, გამოვყო ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია გავითვალისწინოთ მე და ჩემმა კოლეგებმა, იმისათვის რომ დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა კლასგარეშე ლიტერატურა იკითხოთ ხალისით, უფროსის დამაღების გარეშე:

- დავებმართ წასაკითხი წიგნების შერჩევაში, ისე, რომ არ წავართვათ არჩევანის გაკეთების საშუალება.
- თუ მოსწავლე ვერ დაინტერესდა ამა თუ იმ წიგნით, დავებმართ სასურველის მოძებნაში, არ დავაძალოთ პირველი, მაგრამ ვურჩიოთ, რომ აუცილებლად წაკითხოს ისიც მოგვიანებით.
- ვთხოვოთ მშობლებს, გააქტიურდნენ შვილებთან წაკითხულის შესახებ საუბარში.
- ვთხოვოთ მშობლებს დროის მენეჯმენტის გაწერა შვილების სასარგებლოდ.
- დავგეგმოთ სასკოლო და გასვლითი ღონისძიებები, როგორცაა შეხვედრები მწერლებთან, მხატვრული კითხვის საღამოები და ასეთი ღონისძიებების სიხშირე იყოს უწყვეტი.

## დასკვნა

ზემოთ მოცემული კვლევის მიზანი იყო, გამომეკვთა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც აფერხებს მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლებას და განმეხილა ის აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. კვლევის სწორად წარმართვამ და განხორციელებულმა ინტერვენციებმა გამოკვეთა და დამანახა, თუ როგორი მიდგომებით უნდა შევაცვარო დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა. მინდა, სიამაყით აღვნიშნო, რომ მე-6 კლასელები უკვე უფროსებისგან დამოუკიდებლად არჩევენ, ეძებენ, კითხულობენ ლიტერატურას, სტუმრობენ ბიბლიოთეკას. მხოლოდ სკოლა და მასწავლებელი ვერ შეძლებს მოზარდის წიგნიერების დონის ამაღლებას და სასურველი შედეგის მიღებას. კარგია, რომ შევძელი მშობლებთან თანამშრომლობა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. კოლაბორაციული ურთიერთობები მეტად დამეხმარა მუშაობაში. აღვნიშნავ იმასაც, რომ პედაგოგიური კვლევა მნიშვნელოვანი და ღირებული აქტივობაა მასწავლებლისათვის, ის საშუალებას გაძლევს, ჩაუღრმავდე, შეაფასო, შეაჯამო საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება, მოახერხო წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიკაცია მარტო სიმნელების დროს კი არა, არამედ ინოვაციური იდეების დროსაც საკუთარი ძლიერი მხარეების აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად. ეს მუდმივი პროცესია და შესაბამისად ამ მიმართულებით მუშაობას კვლავაც გავაგრძელებ.

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად ძირითადად აღმოიფხვრა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და მოსწავლეები გახდნენ აქტიური მკითხველები.

## დანართი I

### კითხვარი მშობლებისთვის

მოგესალმებით! ვატარებ პრაქტიკულ კვლევას: „რატომ არ კითხულობენ მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას“. ჩემი მიზანია, როგორ შევაცუარო მათ კითხვა, ამიტომ თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა, ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. გმადლობთ მონაწილეობისათვის!

1. იცით თუ არა რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?

- ☐ არ დავინტერესებულვარ
- ☐ მეტნაკლებად ვიცი
- ☐ ზუსტად ვიცი რადგან ვეკითხები

2. ეხმარებით თუ არა ლიტერატურის არჩევაში თქვენს შვილს?

- ☐ არ ვიცი, რომელია მისი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა
- ☐ ვურჩევ, მაგრამ ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა
- ☐ მირჩევნია მასწავლებელი დაეხმაროს

3. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?

- ☐ უფროსის დაჟინებული თხოვნის, დაპირებული საჩუქრის ან სხვა იძულებითი მეთოდის გამოყენების შემდეგ
- ☐ საერთოდ არ კითხულობს
- ☐ როცა მე ვუკითხავ

4. გაქვთ თუ არა სახლში წიგნები?

- ☐ არ მაქვს
- ☐ მაქვს კარგი ბიბლიოთეკა

5. თქვენი აზრით, რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მოსწავლეები არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას?

- ☐ სხვა სახის გართობას უთმობს უფრო მეტ დროს
- ☐ არ აქვთ კითხვის სურვილი

☐ ოჯახში არ აქვთ მათთვის საინტერესო ლიტერატურა და შესაფერისი გარემო

6. გიყვებათ თუ არა თქვენი შვილი წაკითხულის შესახებ?

☐ კი

☐ არა

7. იცნობთ თუ არა ლიტერატურას, რომელიც მასწავლებელმა შეურჩია თქვენს შვილს წასაკითხად?

☐ კი

☐ არა

☐ ნაწილობრივ

8. იმ შემთხვევაში, თუ იცნობთ, როგორ ფიქრობთ, სწორად იყო თუ არა შერჩეული წასაკითხი წიგნის ჩამონათვალი?

☐ ვენდობი მასწავლებლის რჩევას

☐ არ ვიცი

9. აძლევთ თუ არა თქვენს შვილს რჩევას, წაიკითხოს ესა თუ ის წიგნი, მოთხრობა?

☐ ხშირად

☐ იშვიათად

☐ არასდროს

10. თქვენი აზრით, კითხვის პროცესი ბავშვისთვის იყო

☐ იძულებითი

☐ სახალისო

11. წლის განმავლობაში თქვენი შვილის კითხვის სიხშირე იყო

☐ მაღალი

☐ საშუალო

☐ დაბალი

12. როგორ ფიქრობთ, რატომ არის კარგი თქვენი შვილისთვის კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა?  
/პასუხი დაასაბუთეთ/-----

-----  
-----  
-----

## დანართი II

### კითხვარი მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით! ვატარებ პრაქტიკულ კვლევას: „რატომ არ კითხულობენ მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას“. ჩემი მიზანია, როგორ გავადვივო თქვენში კითხვის სიყვარული, ამიტომ თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. გმადლობთ მონაწილეობისათვის!

1. გიყვართ თუ არა წიგნების კითხვა?

☐ კი

☐ არა

2. გაქვთ თუ არა სახლში კუთხე, სადაც წიგნები გიწყევიათ?

☐ კი

☐ არა

3. დამოუკიდებლად კითხულობ თუ უფროსთან ერთად?

☐ დამოუკიდებლად

☐ უფროსთან ერთად

☐ საერთოდ არ ვკითხულობ

4. უყვები თუ არა მშობლებს, და-მმას, მეგობრებს წაკითხულის შესახებ?

☐ კი

☐ არა

5. არის თუ არა წიგნის წაკითხვით დაინტერესების მიზანი მშობლის დაპირება ან მასწავლებლის ნიშანი?

☐ კი

☐ არა

6. რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კითხვას?

☐ საერთოდ არ ვკითხულობ

☐ თავისუფალ დროს სულ ვკითხულობ

☐ კითხვასაც ვუთმობ ცოტა დროს

7. რა თემაზე დაწერილი წიგნები გაინტერესებს?

☐ სათავგადასავლო

☐ ფანტასტიკა

☐ ისტორიული

☐ დეტექტივი

8. კითხვა გირჩევნიათ თუ კომპიუტერული თამაში?

☐ კითხვა

☐ კომპიუტერული თამაში

9. ნათლად წარმოიდგენ თუ არა წაკითხულს?

☐ მიჭირს ამის წარმოდგენა

☐ ნათლად წარმოვიდგენ

10. ვისი რჩევით კითხულობ კლასგარეშე ლიტერატურას?

☐ მასწავლებლის

☐ მშობლის

☐ საკუთარი გემოვნებით

☐ საერთოდ არ ვკითხულობ

11. გყავს თუ არა საყვარელი პერსონაჟი? რატომ გიყვართ ის? დაასახელეთ წიგნის ავტორი

-----  
-----

### დანართი III

#### კითხვარი მშობლებისათვის

*მოგესალმებით! თქვენ უკვე იცით ჩემი პედაგოგიური კვლევის შესახებ. ინტერვენციის შედეგისათვის გთხოვთ უპასუხოთ კითხვარს. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. დიდი მადლობა!*

1. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?
  - ☐ უფროსის, მასწავლებლის დაჟინებული თხოვნის შემდეგ
  - ☐ თავად უჩნდება წაკითხვის სურვილი
  - ☐ საერთოდ არ კითხულობს
2. როგორი იყო წაკითხვის სიხშირე წლის დასაწყისში?
  - ☐ არ კითხულობდა
  - ☐ იძულებით კითხულობდა
  - ☐ ხშირად კითხულობდა
3. როგორია წაკითხვის სიხშირე სასწავლო წლის ბოლოს?
  - ☐ არ კითხულობს
  - ☐ ხალისით კითხულობს
  - ☐ ეზარება კითხვა
4. თავისუფალ დროს თქვენი შვილი კომპიუტერულ თამაშებს მეტ დროს უთმობს თუ წიგნის კითხვას?
  - ☐ კომპიუტერულ თამაშებს
  - ☐ წიგნის კითხვას
5. შეამჩნიეთ თუ არა ცვლილება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან დაკავშირებით თქვენს შვილს წლის განმავლობაში?

-----  
-----

## დანართი IV

### კითხვარი მოსწავლეებისთვის

*მოგესალმებით! გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ და უპასუხოთ კითხვებს. თქვენი პასუხები ჩემი სამუშაო კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია! გთხოვთ, მონიშნოთ ერთი პასუხი. დიდი მადლობა!*

4. წლის დასაწყისში როგორია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე?

☐ დაბალი

☐ საშუალო

☐ მაღალი

5. წლის ბოლოს როგორია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის სიხშირე?

☐ დაბალი

☐ საშუალო

☐ მაღალი

6. როგორ ფიქრობ, რატომ არის კარგი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა?

---

---

---

## დანართი V

### რევაზ ინანიშვილი „ლამაზი ცრემლები“

მეტი გზა არ იყო, ისევ ღუმელით უნდა წასულიყვნენ იოლას. ნოემბერი რომ განახევრდა და ცივი წვიმები დაიწყო, თინამ მამას სოფელში წერილი მისწერა: მამაჩემო, შენ გენაცვალე, იქნებ მანდ ვინმესთან ოთხი კუბმეტრი ("ოთხი კუბმეტრი" გიამ უკარნახა) შემა შეგვიგულო, შაბათს ან კვირას გია ჩამოვა, ფულსაც ჩამოიტანს და შემას თვითონ წამოიღებსო. წერილი ჯერ სოფელშიც არ ეგონათ ჩასული, ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, - ადექით, შვილებო, შემა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოვცალოო. ლოგინში წამომჯდარმა თინამ ჭუჭყუნი დაიწყო:

- ოო, ისევ შენ იწვალე!.. ხომ მოგწერე, გია ჩამოვიდოდა და თვითონ წამოიღებდა!..

მამამ კეთილად გაუღიმა,

- ადექი, ადექი, შენც ჩაიცვიო! ფრთხილად მივიდა შვილიშვილის პატარა საწოლთან, რაღაცები უჩურჩულა, მერე ისევ შვილსა და სიძეს მიუბრუნდა - თბილად ჩაიცვით, არ შეგცივდეთო, - და მათთვის აღარ დაუცდია, თვითონ ჩავიდა ძირს. თინამ და გიამ ერთმანეთს შეხედეს, გიამ ღიმილით გადააქნია თავი.

- იჰ, შენც ერთი! - თქვა თინამ, ბავშვს საბანი გაუსწორა, თავშალი მოიხვია და ჩქარი ნაბიჯით დაედევნა უკვე გარეთ გასულ გიას.

- კი, მაგრამ შენ რაღად მოდიხარ, რა უნდა გაგვიკეთო?

- ჩამოვალ, რა გინდა? გიამ მხრები აიჩეჩა, თინამ მარცხენა მხარზე ჩამოადო ხელი, თავი ახლოს მიუტანა და ისე ჩაჰყვა კიბეზე. დაბლა, შემოსასვლელთან, კარგად დატვირთული "გაზ-51" 2 იდგა

- ეს რამდენი ჩამოგიტანიათ, კაცოო! - გაიკვირვა გიამ.

- ბევრიაო? - იკითხა თინამ.

გადმოვიდა ჩექმებიანი მძღოლი, ჯერ გიას გაუწოდა ხმელი, ცივი ხელი, მერე თინას - ხო არ დამწარდება, შვილოო.

- თუ რამე გადაგრჩათ, მეზობლებს მიაწოდეთო, - დაამატა თინას მამამაც. გიასაც გაეღიმა, თინასაც. გიამ შუბლი მოიფხანა, მანქანას ირგვლივ შემოუარა და თქვა:

- ეგრევე ჩავზიდოთ სარდაფში, დილდილაობით მე დავხერხავ ხოლმე, მაგაზე კარგი ვარჯიში მეორე არ არსებობსო. თინას მამამ ეჭვიანად შეხედა, - დასახერხი ფული თუ არა გაქვთ, მე მოგცემთო. არაო, რას ამბობო, - შექან-შემოქანდა გია, - მართლა ძალიან მინდა, მე თვითონ ვხერხოო. თინაც აბუზლუნდა, - ნუ მოიგონებ ხოლმე რაღაცებსო. მაგრამ გიამ თავისი გაიტანა,

შეშა სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოვოლეს, თინა მშვენივრად მიეხმარა. გია მართლაც ხალისობდა. ჰო, შეშის ღირებულებაზე ხმა არ ამოაღებინა თინას მამამ, მაღლაც კი არ აჰყვა, - პირველი გაკვეთილი მაქვს, შვილოო, უნდა მოვასწრო და ერთი-ორი საათი წავიძინოო, - დაქოქეს მანქანა, წავიდნენ. გიას ხერხი შინ ჰქონდა, წაიღო ის ხერხი, დეზერტირების ბაზართან გააღესინა, ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შვიდ საათზე დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა, თვითონვე ამოჰქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა, მერე მკლავებს უჩვენებდა თინას, - ნახე, როგორ დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა. რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაჰპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს. - არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი მწვადიო! ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამხარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი სულ "მწვადს" გაიძახოდა. მაგრამ ერთ საღამოს გია შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა, - ხვალ მივლინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და არ ვიცი, როგორ წახვალთ იოლას უჩემოდო. ერთი პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები უკან გასწია, აკოცა გიას, - შენ ჩვენი დარდი ნუ გექნება, მე მაგარი გოგო ვარო. გიას ცოტა გულს მოეშვა, მიდგა-მოდგა, რაღაცებს დაუწყო ძებნა. სუფრას რომ მიუსხდნენ, იქ დაიწყეს ანგარიში. ფული რაც ჰქონდათ გიასაც და თინასაც, გია წაიღებდა (ახლა უკვე აღარავის სჭირდება ახსნა-განმარტება, მარტო სამივლინებო თანხით რატომ არ შეიძლება ქალაქიდან გასვლა), ესეც არ იყოს, იქნებ ბავშვისთვის კარგი რამ შეხვედროდა. ოც დღეში თინას და ბავშვს დასჭირდებოდათ... თინას აზრით - ოცდაათი მანეთი, გიას აზრით - სულ ცოტა, ორმოცდაათი მანეთი. ეს ორმოცდაათი მანეთი გიას უნდა ესესხა. დეიდას თუ არ ექნებოდა, სხვაგან უსესხებდა. მთავარი შეშა იყო, შეშას თინა ხომ ვერ დახერხავდა და დააპობდა. ოცი დღის სამყოფის დახერხვას ვერც გია მოასწრებდა. გადაწყვიტეს, - სამოცი მანეთი ესესხათ გიას დეიდასგან. ორმოც მანეთს თინა დაიტოვებდა, თხუთმეტი მანეთით შეშას დაახერხინებდნენ, ხუთი მანეთიც... ხუთი მანეთი ხვალვე დასჭირდებოდათ.

გიას ძალიან ენანებოდა მხერხავისთვის მისაცემი ფული, მაგრამ თან უკვე ის ყოველდღიური ფართიფურთიც მობეზრებოდა, - დავახერხინებ სულ, დავაწყობ და მოვისვენებო.

წავიდა, დეიდასაგან სამოცი მანეთი მოიტანა, ორმოცი თინას მისცა, ოცი თვითონ ჩაიღო. დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა, ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ, ზოგი იდგა, ზოგიც ბაღის ყორეებზე ჩამომჯდარიყო. აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიმყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, - იქნებ როგორ უქირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო! - წამობრძანდებით პაპაო, ბერიკაცს ფარაჯის სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია, - ხერხი მარცხენა მკლავზე ეკიდა, - ისევე გაჰყვა. წავკისელი იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით გაჰფანტოდა, ზოგი საით. გიამ რძის რიგთან ცოტა მოაცდევინა, რძე-მაწონი აიღო, მერე ისევ ერთად წავიდნენ. გია ჩქარობდა, ზოგჯერ დაავიწყდებოდა კიდეც ხოლმე, მოხუცი რომ მისდევდა, წინ გაუსწრებდა, მერე

გახსენდებოდა და შემცბარი გადახედავდა. მოხუცი მაინცდამაინც დიდ მანძილზე არ რჩებოდა.

პირდაპირ სარდაფში არ ჩაუყვანია, ჯერ მაღლა ავიდნენ. - ნახე, როგორი პაპა მოვიყვანე, თინაო. თინა გამოვიდა, იმასაც მოეწონა, - ისეთი პაპაა, მოფერება მოგინდებოდა. და მოეფერა კიდევ, - ღუმელთან მობრძანდით, პაპილო, გათბითო. - არა, შვილო, არა მცირაო. თინა მაინც არ მოეშვა. მაშინ ბერიკაცმა ხერხი კარს უკან მიაყუდა, ფეხებზე ყურებით მივიდა ღუმელთან, ხელები ჯერ შორიდან მიუშვირა, მერე ზედ დააწყო. მოვიდა თამუნიაც, დაინტერესებულმა შემოუარა ირგვლივ. ბერიკაცმა გაუღიმა, - რაო, პატარა ქალოო! თამუნია მიბრუნდა და დედასთან გაიქცა.

გიამ კარადიდან არაყი, პური, ლორი და ყველი გამოიღო. არაყი დაასხა, - აბა, პაპა, დილის მაღლი შეგვეწიოსო. პაპამ ერთი პირობა იუარა, მაგრამ მერე მაინც ასწია ჭიქა. ნელა დალია. გიამ ბოთლი ისევ აიღო. - არაო, ხელი დააფარა ბერიკაცმა თავის ჭიქას. - ერთიც, პაპა, ერთიც, ეს რა არის, პატარა ჭიქა. ოჯახი დამილოცეო! ის ერთიც გაუვსო. ბერიკაცმა ოჯახი დალოცა. თამუნია შუა კარიდან იყურებოდა, დაინახა, ბედნიერი ქალი გაგიზარდოთო. დალია. გიამ მესამედაც მოინდომა ჭიქის ავსება, მაგრამ მოხუცმა საბოლოოდ იუარა, თინაც გამოექომაგა, - კარგი რა, გია, შენც ხომ სამსახურში ხარ წასასვლელიო. მაშინ გიამ სარდაფის გასაღები მოძებნა და ბერიკაცს დაბლა ჩაუძღვა.

არ უვაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც. - თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, - თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, - შავი ბამბაზიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირებაღუნული, წვრილი ღილებით საღმირამდე შეკრული. აიღო შეშა, დადო ჯოჯგინებზე; რბილად გადაუსვა ხერხი. წადი, შვილო, შენ ნულარ მოსცდები. მე დახერხავ და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა, - რა მოლალურივით პაპა შემხვდაო, მიაწყო-მოაწყო წიგნები და ქაღალდები, ჩასალაგებელი ჩაილაგა, თინას დაუბარა, - ადრე აჭამე სადილი, ეგენი, ხომ იცი, პირველ-ორ საათზე სადილობენო, და სამსახურში წავიდა. თინამ კარგი ხარჩო გააკეთა, წვრილი თვის ბოლოკი დაარჩია, ყველი დაჭრა, ერთი ბოთლი შინაური ღვინოც დადგა და მოხუცს ისე გაუმასპინძლდა. ბერიკაცი ამჯერადაც ჩუმად იყო, ჩუმად ჭამდა, ღვინის დაღევას სულ არ აპირებდა, მაგრამ თინაც მიუჯდა მაგიდას, თამუნიაც გვერდზე მოისვა, თვითონაც დალია, მოხუცსაც დააღვეინა. სუფრაზე დახრილი, მათლაფაში რიდით კოვზ ჩაყოფილი პაპა კიდევ უფრო მოსწონდა, - თეთრი ეკლებივით მსხვილი თმით შემოსილი პატარა თავი ჰქონდა, თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე უბრწყინავდა. თინამ კიდევ ერთი გაიგო მისი, - უმცროსი ბიჭი ავარიში დაღუპოდა. ჭიქა წაუქციეს, ბერიკაცს აღარაფერი უთქვამს მეტი, აღარც თინა ჩასძიებია, ჭამას მორჩა, ქუდი აიღო და ისევ სარდაფში ჩავიდა.

ოთხის ნახევრისთვის გიამ მოირბინა, - მე მივდივარ და აბა, თქვენი იმედი მაქვს, პაპაო. - წადი, შვილო, წადი, კეთილად გატაროსო. გიამ ზეზეულად წაიხემსა, შეშის დასახერხი ფული დატოვა, ცოლ-შვილი დაკოცნა, წასვლის წინ, რუსულ ყაიდაზე, ცოტა ხანს დასხდნენ, თამუნია უკვე იცოდა, მამა რომ "მოსკოვში" მიდიოდა და ლამაზ-ლამაზი რამეები უნდა

ჩამოეტანა, მაგრამ მაინც ატირდა. თინამ ძლივს დააწყენარა. ბერიკაცმა საღამომდე ხერხა, საღამოს ამოვიდა, - ცოტალა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ დავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. - არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეთ. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი ცოტა შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუდო, - წაიღეთო, წაიღეთო! ბერიკაცმა მადლობა გადაუხადა, - დილამდე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო, წავიდა.

წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო კვირას.

დაბრუნდა გაი მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი, - აი, ასე ქნა იმ შენმა მოღალღურით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა. მერე თქვა, - მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. - ნახევარზე ცოტა მეტიო, - მიუგო თინამ. - მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნებ რა შეემთხვაო! - კარგო! - გაეღიმა თინასაც.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც.


ერთ დღეს ერთი დაბალი ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ ჰყავთ, შეშა რომ ჰქონდათ სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მოიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარაკდა, - პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დავხერხოო. თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნიტ, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე შეუფიქრიანდა, - პაპა? პაპას რა დაემართათ? - პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო. თინამ კარს ლოყა მიაღო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გაიმ, იმანაც გაიგო, რა ამბავიც იყო, აჰო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, - ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო.

გაი მაღლა ამობრუნდა. თინა შუა ოთახში დახვდა. გაიმ ხელები კეფაზე შემოიწყო, - აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! თინამ გაუღიმა. თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა.

## რეფლექსია

წიგნიერი თაობის აღზრდაში თანაბარი როლი ენიჭება სკოლას, მასწავლებელს, ოჯახს, საზოგადოებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციაა „წიგნიერება“, რომლის მიხედვითაც სკოლის მთავარი მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ჩემ მიერ პირველად ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. კვლევა და მისი შედეგები დამეხმარა საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებასა და განვითარებაში, როგორც მე, ასევე სხვა მასწავლებლებს. კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილება და ანგარიში წარუდგინე ჩემს კოლეგებს კათედრის სხდომაზე, ვაჩვენე კვლევის მიმდინარეობა, ანგარიში, შედეგები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ჩემ მიერ დასახული ინტერვენციები დაეხმარებათ მსგავსი პრობლემების მოგვარებაში, რადგან აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია. მათი მხრიდან უკუკავშირი იყო საინტერესო და ნაყოფიერი, მსგავსი პრობლემების წინაშე ყოველთვის დგას მასწავლებელი და გამოცდილების გაზიარება მიზანმიმართულია მასწავლებლის პროფესიული ზრდისთვის, მოსწავლეების წიგნიერების დონის ამაღლებისა და მშობლების პროცესში ჩართულობისათვის.

ხელმოწერა: ზ. ზურაბაშვილი



## ბიბლიოგრაფია

- საკითხავი ჟურნალი „მასწავლებელი“ N3. 2016 წელი (4-9 გვ.)
- მასწავლებლის გზამკვლევი, ნაწილი II, „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ (60-90 გვ.)
- ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივი“, გამომცემლობა „მერანი“
- გურამ დოჩანაშვილი „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, გამომცემლობა პალიტრა L
- ბავშვის ფსიქოლოგია ; სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია / დიმიტრი უზნაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი , 2003. (40-70 გვ.)
- „სიბრძნის ენციკლოპედია“ , გამომცემლობა: პალიტრა L, 2015 წელი.
- „სიბრძნის სიმფონია“, აკაკი გელოვანი, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1989 წელი.
- „ლამაზი ცრემლები“ – რევაზ ინანიშვილი, კლასიკა და თანამედროვეობა 2005 წელი.
- მეგი დოლიძე, ფსიქოლოგი „ რატომაც ჩვენი ბავშვების მომავალი დამოკიდებული წიგნების კითხვის სიყვარულზე“  
<http://4motivi.com/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1/>
- სატელეფონო ჩართვა: გიორგი კეკელიძე - პოეტი, პროზაიკოსი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი „წიგნი და წიგნიერება, ანუ განათლების მნიშვნელობა“  
<http://old.radio1.ge/ge/videos/view/185805.html>
- მიხეილ გიორგაძე „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევაზე“  
[https://www.youtube.com/watch?v=JhrTJju\\_014](https://www.youtube.com/watch?v=JhrTJju_014)
- სოფიკო ლომაძე, „პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“  
<https://www.youtube.com/watch?v=w5uXXaowT6g&list=PLFAD80AB126984C2D>